

## **მულტიპერსპექტიულობა, როგორც საბჭოთა და (პოსტ) საბჭოთა ნარატივის წარმოჩენის საშუალება**

(აკა მორჩილაძის “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებისა” და ვიქტორ პელეგინის “მწერების ცხოვრების” შედარებითი ანალიზის მიხედვით)

სამოცდაათწლიანი კომუნისტური ეპოქისა და საბჭოთა ნარატივის დასასრული საფუძველად დაედო 90-იანი წლების კულტურულ-პოლიტიკური დისკურსის შექმნას, რაც კომუნისტური ეპოქის შეცვლის გამომწვევმა მიზეზებმა განაპირობეს. თავისუფლებისა და დემოკრატიის მოლოდინით შექმნილი ილუზიის ტრავმულად რღვევის ფონზე, გარდატეხის მიჯნაზე არსებულმა კულტურულმა სივრცემ დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და კლიშეებისგან გათავისუფლება დაიწყო.

აქედან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებული “გარდატეხის ლიტერატურა” მთლიანად პოსტსაბჭოთა ნარატივს დაეფუძნა და მოგვცა არსებული სოციალურ-კულტურული სინამდვილით გაჯერებული შემოქმედება. ბუნებრივია, გარდატეხის ეპოქის დამწვები, ახალგაზრდა მწერლები, ვერ გაექცნენ არსებული სინამდვილით გამოწვეულ რეფლექსიას და “გარდატეხამაც”, მსგავსად გერმანული ლიტერატურისა, არანაკლებ მძლავრად იჩინა თავი პოსტსაბჭოთა ხანის ლიტერატურაში. ამდენად, პოსტსაბჭოთა ქვეყნის მწერლები ვიქტორ პელეგინი და აკა მორჩილაძე შემოქმედების დასაწყისიდანვე ცდილობდნენ წინარე ლიტერატურული გამოცდილების გადააზრებასა და მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან ინტეგრირებას, რითაც უახლოვდებიან ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში “გარდატეხის ლიტერატურის” სოციალური კოგნიციის კონტექსტს.

თავდაპირველად, აღსანიშნავია, რომ თავიანთ თხზულებებში, ამბის გადმოსაცემად, ორივე მწერალი იყენებს მულტიპერსპექტიულ თხრობას. როგორც აკა მორჩილაძის “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში”, ასევე ვიქტორ პელეგინის “მწერების ცხოვრებაში” მოქმედი პირები განსხვავებული ვერსიითა და მრავალმხრივი პერსპექტივიდან, რამდენიმე აღმქმელი ინსტანციის მონაცვლეობით ან ერთმანეთის მიყოლებით, გადმოგვცემენ მომხდარ ამბავს.

მულტიპერსპექტიული თხრობის ინტერპრეტაციისას, სხვადასხვა სუბიექტური პერსპექტივის შეჯერებით, ცალკეული პერსპექტივების ურთიერთმიმართების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი დომინანტური პერსპექტივის საშუალებით, მკითხველს ექმნება მულტიპერსპექტიული თხრობის ფუნქციის დადგენის შესაძლებლობა (Nünning 2000: 20). ამდენად, ლიტერატურის თეორეტიკოსების მიერ განსაზღვრული რამდენიმე ფუნქციიდან, მხოლოდ სოციალურ ფუნქციას გავანალიზებ, რადგან მიმაჩნია, რომ ორივე მწერალი მულტიპერსპექტიულობით მოცემულ სოციალურ სამყაროში პლურალური საზოგადოების წარმოჩენასა და მათი ურთიერთმიმართებების საფუძველზე არსებული ინდივიდუალური კრიზისის პრეზენტირებას ახდენს.

მორალურ-სოციალური (დამაბალანსებელი, ჯამი, შედეგი) ფუნქცია შემდეგნაირად განიმარტება: მომხდარი გადმოიცემა მოთხრობილი ამბის განსხვავებული პერსპექტივებისა და სოციალური პოლიფონიურობის (ბახტინის კონცეფციის გაგებით) გათვალისწინებით (გერ: Redeviefalt), რაც ერთი კონკრეტული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. მულტიპერსპექტიულობა შესაძლებელია წარმოაჩენდეს საზოგადოების განსხვავებულ ღირებულებებსა. ასევე, საზოგადოებრივ პლურალიზმს უსვამდეს ხაზს. ღირებულებათა კონფლიქტის ლიტერატურული ინსცენირების საშუალებით შესაძლებელია მულტიპერსპექტიულობამ თანამედროვე ეპოქის კრიტიკასაც შეუწყოს ხელი და ასევე, წამოიწყოს საზოგადოებრივი დიალოგი მორალურ და სოციალურ კითხვებზე (Nünning 2000: 25).

“ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში” ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ამბავი ვითარდება, რომლებიც რომანის დასასრულს მოულოდნელად კვეთენ ერთმანეთს. პირველი ამბის მთავარი მოქმედი პირი მეორე ამბის შემთხვევითი მსხვერპლი ხდება, ამბის სიუჟეტს პროტაგონისტის მეგობრების მიერ

მოთხრობილი ამბების ერთობლიობა ქმნის, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისეული დამოკიდებულებებით კრავენ ერთიან ჯაჭვს, განსხვავებით “მწერების ცხოვრებისაგან”, რომელშიც პერსონაჟებად ადამიანი-მწერების მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი და არ არსებობს ერთი მთავარი პერსონაჟი. მკითხველი მოთხრობის მიერ განხორციელებულ პერსპექტივათა შეთანხმებისა და პერსონაჟების ურთიერთმიმართების ანალიზის საფუძველზე ახდენს ნაწარმოებში წარმოდგენილი რამდენიმე ამბის რეკონსტრუქციას. მოთხრობილი ამბები 90-იანი წლების სოციალურ-კულტურულ კონტექსტში მოქცეული პერსონაჟების ცხოვრებას ასახავს და ამბის კოჰერენტული ვერსიის შექმნის გარდა, ამ წლების პოსტსოციალისტური ნარატივის დასასრულს, ვესტერნიზაციის დასაწყისსა და ეპოქისადმი დამახასიათებელ პლურალიზმს წარმოგვიდგენს.

“ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში” პოსტსოციალისტური ეპოქის დასაწყისის ნიშნები პირველივე ამბიდან ჩნდება, როდესაც მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, გაღვიძებისთანავე ნიცაზე ფიქრს იწყებს და იქ ყოფნის სურვილს გამოთქვამს, ეს აუხდენელი შავი ზღვის მიღმა მდებარე “რკინის ფარდით” იზოლირებული სამყარო, სწორედ 90-იანი წლებში ახდენილი ოცნებაა, რომელსაც საზოგადოება სამოქალაქო ომით, უშუქობითა და “ჩამოგრძელებული სიფათებით” შეხვდა. ამიტომაც, გათავისუფლებული პოლიტიკური სივრცე ბოლომდე განუხორციელებელ სწრაფვად დარჩა და შემთხვევითი არაა, რომ გარდატეხის საზოგადოებაში ვერ რეალიზებული ადამიანები ან უაზროდ იღუპებიან, ან ნარკოტიკებს ეტანებიან.

“მწერების ცხოვრება” პელევინის შედარებით ადრეული ნამუშევარია, რომელიც თავისებურ ალგორითულ პაროდიას წარმოადგენს განსხვავებული “სახეობის” ადამიანების ცხოვრებაზე. აქ გვხვდებიან მიზანმიმართული კალიები, ცხოვრებაზე თავიანთ შეხედულებებში შეხედულებული ჭიანჭველები, მარიხუანას მომხმარებელი ბალლინჯოები, ცხოვრების არსით დაინტერესებული ნეხვის ზოგოები და მუდამ სინათლისკენ მიმავალი ღამის პეპლები. მთელი ამ “ცხოველთა ასორტიმენტის” დანიშნულებაა ზედმიწევნით აღწეროს, როგორც საზოგადოების ცხოვრება, ასევე ცალკეული ადამიანისა, წარმოჩნდეს ადამიანის მიერ გამოგონილი სქემის მთელი უაზრობა, ცხოვრებისეული მიზნების ხელოვნურობა.

პოსტსაბჭოთა ნარატიული ასპექტი აქაც რომანის დასაწყისშივე ვლინდება, სადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანი-მწერების ცხოვრებაა მოთხრობილი, რომლებიც ერთ მიტოვებულ პოსტკომუნისტურ საკურორტო ქალაქ ფეოდოსიას სიახლოვეს დასახლებულან. რომანის დასაწყისშივე, ნიშანდობლივია მიტოვებული კურორტის პოსტსაბჭოთა მახასიათებლები: კურორტზე არსებული კოოპერატიული დახლები, სადაც სამარცხვინო კოოპერატიული შარვლები გასაყიდადაა გამოფენილი, აუხდენელი სიციალისტური მომავლის ნახატები და ა.შ. აქ, როგორც ყველა საკურორტო ქალაქში განთავსებულია კინო-ბარი, საცეკვაო მოედანი, კაფე მანათობელი რეკლამით, სადაც კერძების სახელწოდება არ შეესაბამება მის გემოს. ასეთი სიმულაციური ნიშნებითაა შემოსაზღვრული გარემო, სადაც ეს ადამიანი-მწერები ცხოვრობენ.

ორივე შემთხვევაში მწერლები ქმნიან სამყაროს, სადაც ნიშნები კარგავენ მნიშვნელობასა და არსებული სივრცის გარღვევის სურვილით შეპყრობილი პროტაგონისტები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე განაგრძობენ არსებობას დროში.

მეორე, რაც დასავლეთთან კავშირის აღდგენას “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში” ცხადყოფს სიგარეტი “მაგნას”. მთავარი პერსონაჟი გაღვიძებისთანავე იწყებს სიგარეტის მოსაპოვებლად “ბრძოლას”, “მაგნას”-“ეპოქის სიმბოლო და კომუნიზმის დასასრული”, მაგნამ ჩაანაცვლა კომუნისტურ ეპოქაში ღირებული “კოლხეთი” თუ “ყაზბეგი”. ბრენდისა და რეკლამის შემოსვლა სოციალურ ტრანსფორმაციასა და პოლიტიკურ პროექტებთან ასოცირდება. “მაგნას” ბრენდს პოსტსოციალიზმის ხანის მეტასიმბოლოდ იაზრებს ამერიკელი ფილოლოგი და ანთროპოლოგი პოლ მანინგი, რომელიც თავის კვლევას “მაგნას” ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გარდასახვა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმამდე საქართველოში მთლიანად აფუძნებს ნაწარმოებში წარმოდგენილ სიგარეტის ბრენდების კონტექსტურ ანალიზზე. ბრენდი არაა კონკრეტული პროდუქტის სიმბოლო. როდესაც

საუბარია “კოკა-კოლაზე” ან “მაკდონალდსზე”, იგულისხმება არა მხოლოდ უალკოჰოლო სასმელი ან სწრაფი კვება, არამედ საქმე გვაქვს ვესტერნიზაციისა და ამერიკანიზაციის პროცესთან. ანალოგია შეიძლება მოიძებნოს ვოლფგანგ ბეკერის ფილმთან Good Bye, Lenin!, რომელიც გარდატეხის თემაზეა შექმნილი. ფილმში დედის სოციალისტურ გერმანიაში ცხოვრების მყარ ილუზიას არღვევს საწოლი ოთახიდან შემჩნეული, მოპირდაპირე საცხოვრებელ სახლზე ჩამოშლილი კოკა-კოლას რეკლამა. ამდენად, ავტორი სამართლიანად ახდენს ტექსტში, როგორც წარმოდგენილი სიგარეტის ბრენდებით მომხმარებელთა ინდივიდუალიზაციას, ასევე ადგილისა და დროის სიმბოლიზაციას, რამაც ქართულ სინამდვილეში 90-იანი წლებიდან იჩინა თავი.

რაც შეეხება ვიქტორ პელევინის “მწერების ცხოვრებას” ვესტერნიზაციის პროცესი რუსული სისხლით მოვაჭრე ამერიკელ კოლოდ ტრანსფორმირებული სემით ხორციელდება. 90-იან წლებში გახსნილი საზღვრები უცხოელი საქმოსნების მიერ რუსეთში არსებული რესურსების დაინტერესებით დაიწყო. მწერალი სწორედ ამერიკელი სემის პერსონაჟის გამოჩენით მიანიშნებს ვესტერნიზაციას, რომელიც პირველივე თავიდან ადგილობრივ რუს პარტნიორთან ერთად ჩნდება და მათ გარემოცვაში რეალიზებას ცდილობს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მათი ექსპორტი ადგილობრივი რუსული სისხლია. პარტნიორები მას ფინანსური უზრუნველყოფის წყაროდ მიიჩნევენ, თუმცა, მარტო დარჩენილები ამერიკელის კრიტიკითა და შეურაცხყოფით ავლენენ უცხოელის მიმართ არსებულ შინაგან პროტესტს. წინააღმდეგობას აძლიერებს რუსი ქალიშვილი ნატამას ამერიკელი სემით დაინტერესება, რომელიც მთლიანად უპირისპირდება ქვეყანაში არსებულ სტერეოტიპებსა და ამერიკელთან ურთიერთობით ცდილობს ქვეყნიდან გაღწევას. თუმცა, მისი და ამერიკელი სემის ურთიერთობა მხოლოდ ერთად ყოფნითა და მარისუანას მოხმარებით სრულდება.

მულტიპერსპექტიულობამ ხელი შეუწყო რომანში სიცალიური ცხოვრების განსხვავებული ინდივიდუალური სპექტრიდან წარმოჩენასა და მასზე დაყრდნობით, ერთი კონკრეტული ეპოქისათვის დამახასიათებელი, 90-იანი წლების სოციალური დისკურსის გამოკვეთას, რამდენადაც გარდატეხის პროცესი საკმაოდ მრავალგვაროვან ხასიათს ატარებდა და გარდატეხის მიჯნაზე მყოფ ერთმანეთისგან განსხვავებულ ტიპებს ქმნიდა.

მესამე ძირეული ასპექტი, რაც გარდატეხის ლიტერატურაში აშკარად გამოიკვეთა-ტრამეულობაა:

“პოსტსაბჭოთა პერიოდი, რომელიც საბჭოთა დროს დამოუკიდებლობასა და აღმავლობასთან ასოცირდებოდა ქართულ ლიტერატურაში ტრაგედიასა და ნგრევის, ქოსისა და აგრესიის გამოხატულებად აღიბეჭდა. შეიქმნა ნაწარმოებები, სადაც სტრესი საზოგადოების დონეზე აისახა. ირგვლივ მიმდინარე პროცესით განპირობებულ პიროვნულ ტრაგედიას გამოხატავენ ავტორები, ამ შემთხვევაში კი თხზულება იქმნებოდა იმ ფუნქციით, რომ ავტორს გარკვეული მიჯნა დაელო გარესამყაროსა და შინაგან სამყაროს შორის და სტრესულ ვითარებაში პიროვნული მდგომარეობის აღწერის გზით დაეცვა საკუთარი თავი და საკუთარი ინდივიდუალობა ( წიფურია 2004: 151)”

“ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში” თავისუფლების შეცნობისა და გათავისების პროცესი აგრესიითა და ძალადობით ხასიათდება, საზოგადოებაში წლობით ნაგროვები აგრესია ერთბაშად გადმოიფრქვა და ახალგაზრდების დიდი ნაწილის პიროვნულ ტრაგედიად ქცეულ ძალადობასა და ცინიზმში წარმოჩინდა. შესაბამისად, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ზაზა, თავის დასაქმებულ, სოლიდურად გამოწყობილ სიძეს დასცინის, დაკისრებულ მისიასა და დანიშნულებას ირონიულად ახსენებს, ზაზას დედა დასაქმებული სიძის გაიდალეხას ცდილობს და საკუთარი შვილის უსაქმურობას კიცხავს. ჯიპებში მსხდომნი, საზოგადოების სოციალური ნიშნით დაწინაურებული მოქალაქეები, ფეხით მოსიარულეებს ქედმაღლური იერით ხვდებიან, მალბოროს მფლობელები კოლხეთის მწვეკვლებზე ძალადობენ, დარღვეულია ასაკობრივი ზღვარი და წაშლილია ყოველგვარი კულტურული და ესთეტიური საზღვარი. მეგობრობისა და სიყვარულის უმაღლესი გამოხატულება სისხლის აღებაა, დაღვრილი სისხლის გამოსყიდვა კი – ასაშენებელი ეკლესიის მოდელში ხორციელდება. ქაოტურ და ფსიქიკურად აშლილი სამყარო მოთხრობის ბოლოს იკვრება, სადაც შემთხვევითი მსხვერპლი ზაზა სადარბაზოსთანაა მოკლული და მკვლელის მონოლოგური თხრობით მკითხველს რჩება

შთაბეჭდილება, რომ მკვლევლობათა სერია, დაუსრულებელი აგრესია მარადიულ ციკლურ წრეზე ტრიალს აგრძელებს.

“მწერების ცხოვრებაში” წარმოდგენილი მწერთა მრავალფეროვანი სამყარო, რომლებიც განსხვავებული სოციალური კლასიდან და განსხვავებული ჯიშის მწერები არიან, ადამიანთა დიფერენცირებული სოციალური კლასის სიუჟეტს ქმნის, მსგავსად ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებისა, სადაც ძაღადობის მექანიზმი არანაკლებ მძლავრად ვლინდება.

ფილოსოფოსი მამა-შვილი ცხოვრების საზრისს ძიებაში ხედავს, და შესაბამისად, მათთვის გარემოში შექმნილი სტრუქტურა, დემოკრატიისა და სოციალიზმის მიჯნა, შეუმჩნეველი რჩება. მათი ცხოვრების მთავარი მიზანი არსებობისა და საკუთარი მე-ს დანიშნულების გააზრებაა. ნეხვის ხოჭო მას შემდეგ იწყებს ნამდვილ ცხოვრებას, როდესაც აცნობიერებს ნეხვის მიკრო სამყაროში არსებობას, თუმცა მოცემული რეალობიდან დისტანცირება არსებული რეალობიდან თავდახსნის საშუალება არაა და რიგითი ფეხით მოსიარულის მსხვერპლი ხდება. მარიხუანას ბაღლინჯოები, სემისა და ნატამას სიგარეტის წვის პროცესში ნადგურდებიან, თეატრში ანტრაქტის დროს დაუძღვრებულ პოლიკონიკზე მოძალადე მეგობარი ჭიანჭველები ძველ მეგობარს ნაკუწ-ნაკუწ გლეჯენ. ამდენად, ეს საზოგადოებაც, “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების” საზოგადოების მსგავსად იერარქიულ საზოგადოებას ქმნის, სადაც ძაღის გადანაწილებით რიგითობის დადგენას ახდენს. მათ შორისაა პეპელა, რომელიც საკუთარ თავში ორ მე-ს აერთიანებს და ერთის განადგურებით იდეურად იმარჯვეს მეორეზე, იტოვებს იმ მე-ს, რომელსაც არსებულ ყოფას მოხერხებულად არგებს. დანარჩენი მწერები ან ხელმოცარულები უიმედოდ კვდებიან, ან მოცემულ სოციუმში გადარჩენისთვის იბრძვიან. ამდენად, გადარჩენა შეგუებაა და არა ბრძოლა. მულტიპერსპექტიულობის საშუალებით 90-იანი წლების რეალისტური წარმოდგენა ძლიერდება, რაც სწორედ გარდატეხის მიჯნაზე მყოფი საზოგადოების ესთეტიკის შექმნას ემსახურება.

ორივე ნაწარმოებში რეალიზებული საზოგადოება საბჭოთა ნარატივისა და პოსტსაბჭოთა ნარატივის მიჯნაზე იმყოფება, შესაბამისად ორივე ტექსტი აერთიანებს 90-იანი წლების ძალადობასა და აგრესიას, ცინიზმსა და ირონიას, რომლებიც პიროვნების თვითდამკვიდრებისა და თვითგადარჩენის მიზანს ემსახურება, ხოლო მწერლები სოციალური პლურალიზმის საჩვენებლად იყენებენ მულტიპერსპექტიულობას, ორივე ტექსტის შეჯერების საფუძველზე მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება მათი სოციალური ცხოვრების მრავალგვარობაზე, რადგან მულტიპერსპექტიულობა იძლევა ადამიანის ინდივიდუალური ხედვის წარმოჩენის შესაძლებლობას ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიციებიდან. ასეთ ვითარებაში, შესაძლებელია, მულტიპერსპექტიულობა გარდატეხის ლიტერატურის მახასიათებლად მიგვეჩინა.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ ტექსტებში მულტიპერსპექტიული თხრობა ხელს უწყობს: 1. თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას; 2. მისი ცხოვრების გარდატეხის კრიზისული კულმინაციის ჩვენებას; 3. მარტივი და სადა თხრობით უმთავრეს თემებზე კონცენტრირებას; 4. ერთი ან რამდენიმე ლაიტმოტივის გამოყენებით მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენას; 5. მინიმალისტური პროზის ტენდენციას: მის ფარგლებში მნიშვნელოვანი ხდომილება მხოლოდ მნიანიშნებს კონტექსტზე, რომლის მეშვეობითაც უნდა აიხსნას იგი (მუნარეტო 2008: 59). აქედან გამომდინარე, მულტიპერსპექტიულობა ხელს უწყობს გარდატეხის ეპოქაში მყოფი საზოგადოების მსოფლმხედველობის წარმოჩენასა და დომინანტური ფუნქციის საშუალებით არსებულ სამყაროში ძაღადობის კრიტიკას, ამავდროულად აძლიერებს ტრავმულობის განცდას.

ამრიგად, ახალგაზრდა ავტორებმა ძალიან საინტერესოდ, ფიქციური, თუ ფაქტიური სიურეალისტური, თუ რეალისტური საშუალებებით, სოციალური კონტექსტით წარმოადგინეს 90-იანი წლების საზოგადოების პოსტსაბჭოთა ნარატივი და შეძლეს, თავიანთი წვლილი შეეტანათ აქტუალურ ლიტერატურულ ტენდენციებში.

დამოწმებანი:

1. პელევინი 1999: Пелевин, В. Жизнь насекомых. Москва. 1999
2. მორჩილაძე 2011: მორჩილაძე, ა. ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები. თბილისი. 2011
3. მანინგი 2007: მანინგი, პ. “მაგნას” ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გადასვლა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმამდე საქართველოში, თბ. ეროვნული ბიბლიოთეკა, 2007
4. წიფურია 2004: წიფურია ბ. პოსტსაბჭოთა ტრავმა ქართულ მწერლობაში და კიდევ ერთი მეტანარატივის დასასრული. სჯანი №5, 2004
5. წიფურია 2005: წიფურია ბ. პოსტსაბჭოთა პერიოდი და პოსტმოდერნიზაცია ქართულ მწერლობაში. იტერატურული პალიტრა, №4-5, 2005
6. მუნარეტო 2008. Munaretto, Stefan. Königs Erläuterungen und Materialien Band 462. Erläuterungen zu Ingo Schulze Simple Storys. Hollfeld. 2008
7. ნიუნინგი 2000: Nünning, A. und V. Multiperspektivisches Erzählen. Zur Theorie und Geschichte der Perspektiven –Struktur im englischen Roman des 18. bis 20.Jahrhunderts. Wissenschaftlicher Verlag Trier. 2000